

୩(୦୫)

୩୩-୪୦

ବିଜ୍ଞାନ

୦. ୩୬୦୩୧୩୩୦୯୦୮

କୃତ୍ସମଗ୍ରହଣ.

# კ უ კ უ .

მრ. რობერტიშვილი.

## „ლეილა“

მგონი, პირველად დაერქეა ქურნალს ქალის სახელი. „ლეილა“ — აღმოსავ-ლეთის სილამაზეა ამ სახელით მოკვეთილი. კარგი უქნია ჩეენს მოკისეს ერთ-შეოსნო, ეს ქურნალი რომ ამ სახელით მოუწათლავს.

დიალია აღმოსავლეთი: მწვავე და ნელია მისი ცხელი შუადღე, როცა მზის ნადინზე ოქროს ნაკალულებში ოურჯოვალა ქალწული იძადება; ლრძა და მყუდროა მისი შეაღავე, როცა ცის ლურჯა ფსკერზე უძირო საღლუმლონი ბრი-ლიანტობენ.

საოცარია აღმოსავლეთი: მარტო მარტო ინდოეთი და სპარსეთი რად ლირს! უშრეტი გონი ინდოეთის, ნათელს ნირვანაში გაალებული; თვალის მტრელი ხალიჩა სპარსეთის სიჩრების, საიდუმლო პაშიშით ზმანებული...

საქართველოც ხომ ნატეხია აღმოსავლეთი! და ჩეენ არ უნდა დავივიწყოთ ჩეენი ავანი. ძვირფასია ღასავლეთი ევროპა, ზაგრამ ევროპისათვის აღმოსავ-ლეთს ვერ დავსომობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხდოთ...

და საქართველოც თითქო ამისათვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუს-თველას: განა მან არ შეჰქრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევანებული რენესანსის გაქანებისა!..

„ლეილამ“ სწორეთ აღმოსავლეთის ფიქრმორეული გულ-ნება უნდა გადა-გვშალოს. მან თავისი ლამზიზ ტანით აღმოსავლეთის ტემპერამენტი უნდა აყ-ნებოს მთელი მისი ხალისით...

გარნა: არც თუ ევროპას დაივიშუებს ქალწული „ლეილა“: მრავალი სა-ტეხნიკო შეძენა ხელოვნებაში მოგეცა ევროპამ. ჩეენც მათ გამოვიყენებთ, რო-გორც ინსტრუმენტებს,—ხოლო მათ აღმოსავლეთური პანგებით ავამეტყველებთ... აღმოსავლეთის მზის ცხელს ნადინზე ლურჯოვალა ქალწული იძადება თმა-ოქროვანი: „ლეილა“ — დასტურებით მისი სილამაზით!

—  
ვარსკელავოსანი ღამე იჩანისა.

## სპარსეთის დედოფალი

1

ვინ არი ავერ იქ სარქმელთან ვინა ზის,  
მუნიარი სიცოცხლის, ეშნის და სინაზის,  
შიშეელი მელავებით ქრის მეტედნედ ახუტებს,  
ვით შეელი გაცყურებს მთის კარმაგ ჩატუტებს.  
ტანა აქვს, რა ტან: ლიტამი! კენარი:  
სან მიაქვს, ხან მოაქვს ლიმილი ზენარი:  
ალუბლის ტუჩბზე ამორი ნანაობს  
და შებლის წინამო ნააგზე ყანაობს,  
ქვექვით ნაზია, ცეკვია, ჩერულა,  
ისე ვით ეს რიომა ამ ლექსში ფარული.

2

მებრალვით, მგოსნებო, ღმერთმანი მებრალვით,  
რომ კრძალვით ქალებსა ექცევით, ემალვით,  
რა რიგად იმცრებთ საკუთარ თავსა და  
რიგრიგად ცოდვილობთ ბერების მზგავსადა,  
აქ მოდით ჩემთანა,—ჰე აქეთ! ჰე აქეთ!  
და ოდით ეს ქალი შეამკეთ, შეკეთ,  
ალესეთ თაზანა, მომაროეთ ჩანგური,  
აკვენესეთ სიმები, სიმები ჰანგური  
და ენით, იმ ენით შოთა რო ლექსს გვფენდა,  
შეჰქმენით ლეგენდა, უკვდავი ლეგენდა.

3

რად გინდა, მხატვარო რად გინდა, რომ ბოლოს  
ეგ წმინდა სახელი ბრბოშ ზიზლით ჩაქოლოს,  
რას სტანჯავ მარჯვენას მითხარი რა გნებაეს,  
რად ხარჯავ უბრალოდ მაგ ფერად სალებაეს?  
და, ან ვით გვინია დასტებები, დათვრები?—  
დაუინეით დაგსჯიან სხეა ქვენის რხატერები!!  
ახ, მენდე შერტვები მაგ ტალო-ფალასით...  
აენთე, მხატვარო, ნიჭითა ხალასით  
გაბედვით იხილე ეს ქალი,—ჩენება,—  
და ხედვით ზოსტაცე სამხატვარო შვენება.

4

ქანდაკის მეეთელო! თუ გინდა, თუ რომ გსურს  
სპეტაკის ლიმილით ჰანგს გფენდნენ ალერსურს;  
თუ გინდა შენც გახდე შსოფლიოს მხატვარი,  
მოგვწყინდა ერთავად ქანდაკი მავგვარი,  
ან, რატომ სურეილობ ხალხს ისე ჩიმორჩე,  
რომ მარტომ იგლოვო ეგ ნორჩი სინორჩე?  
დასტოვე ეგ რვალი, ეგ აზრი, ეგ ნება  
და სთხოვე შემოქმედს მოგძადლოს შეგნება,  
რომ გქონდეს ქანდაკად ამ ქალის მარმარა,  
ოლონდ ეს აჰკვეთე სხეა ნურა გვამა-რა.

## 5

და, ან, შენ, მოერალო წეტავი რას ფიქრობ,  
დაამშევნ შენ სახელს, ან სევდას გაიქრობ?  
შენს ხმაში არა სჩანს ხმა წრფელი, ხმა საღა,  
არც ტაში, არც ვარდი, არა სჩანს არსაღა,  
გეტუობა, ყველაფერს კასრულობ აღვილად,  
სჩანს ტრფობა არ იყო რას ნიშნავს ნამდვილად,—  
მაშ მტერი ხომ არ ხარ შენი ხმის, რომ ობლად  
დამლერი უსულოდ, უგულოდ, უგრძნობლად??  
ჰა, შეხე ამ ქალსა, ჰა, შეხე და... მერე  
დასტეხე ხმის ხინჯი და გრძნობით დამლერე...

## 6

ვინ არი, უგრე იქ სარკელთან ვინა ზის,  
მფინარი სიცოცხლის ქშის და სინაზის?  
მისამართს შევიტყობ, მისხლით-მისხლითა  
ან მის კვართს შევლებავ ალისფერ სისხლითა,  
ან, არა მის ხსოვნას, მის ფიქრებს, მის სახელს,  
ნარნარა ოცნება მხოლოდ მე გამიმხელს.  
ოდესმე ჩემს მამულს თუ ხსნა ელიოსების,  
ოდეს მე გავხდები თუნდ მეფე ლექსების:—  
მაშინ სულს ვფიცავარ—ამ ქვეყნად, ამ სოფლად—  
ამ ასულს დასვამდი სპარსეთის დედოფლად.

დედაქალაქი. თოვლისთვე.

## მერჩხში მიმდევ.

### მ ზ ე

ჩემთ პაწია მეგობარო, შენ შეიძლება აღარც გახსოვს ჩენი პირველი შეხვედრა.  
სრულიად შემთხვევით დაგიმეზობლი, დიდი ქალაქის ქრთს შოუსვენარს და  
ვოძრას ქუჩაზე რომ სკორებოდი.

როცა პირველად შენთან შემოველ, შენ მეითხე: როგორ მოგწონთ ახალი  
ოთახი?

— არა უშაგ რა, მაგრამ ჩენი ფანჯრები ხომ სამხრეთისაკენ იცქირებიან:  
ჩეარა ცხელი ზაფხული დაგვიღგება და მწუავე მზის სხივები თავს მოგვაბეჭ-  
რებენ.

შენ ამაზე უბრალოდ და ხმა დაბლად მიპასუხე:—ოჲ, რას ამბობთ, მე ხომ ასე  
მოუთმებლიდ ველი მზეს.

ფიქრებში წასული კუთხებში დავჯექ და თვალებშე ხელები ავითარე. კარ-  
გად გიცან ვინცა ხარ, მეგობარო! შენ მზეს ელი. ეჭვი არ არის შენ ჩრდილოე-  
თის ერთი დიდი და ბურუსიანი ქალაქის შეილი ხარ, ანდერსენის თანამემამუ-  
ლე: შენც ხომ ისეთივე უბრალო და უძირო ხარ, როგორც მისი ზღაპრები. დი-  
დი, ყაზარმის მსგავსი სახლის ნესტიან სარდაჭმი დაიბადე, ნახევრად მიწაზი  
რომ არის ჩაფლული. მამა შენი სამუშაოდან შინ გვიან ბრუნდებოდა. ძარღვიანი  
ხელმით აგვიყვნდა და ფანჯარაში გაგაბეგებდა, ჩენის მაკოლებიან ჩარჩი-  
ებში. მაგრამ მზეს ველარ დაინახავდი: უკვე ჩასული იყო.

მერმე როცა წამოიზარდე, თვით შენ აცოცდებოდი ხოლმე სარკმელის ბრტყელს  
ფიცარზე. მზე საქაოდ მალა იღვა, რომ ოდნავ ფანჯრის გარეშე კუთხები  
გაენათებინა. მაგრამ ხელებს ამაღ იწყდოდი მისი სხივების დასკერად: ისინი  
ნელნელა ზევით მიიწევდნენ რათა ზევითა სართულები გაეშუქებინა.

და ეხლა უცხოეთში მზეს ელი, მეგობარო, მე გამომყე: სამხრეთის შვილი ვარ.  
ჩენში ცხრათვალა მნათობი უხეად გავვინათებს. მაგრამ, ჩემი კარგო, ჩემი სამ-  
შობლოს მზე არავის ეალერსება: ის მეტისმეტად მწვავეა.

კ. ჭიშჩევი.

## ლარნაკი-გული

ნომერთავი ქ... ს.

აი, ჩემს მაგიდაზე სდგას იგი, უცხო ლარნაკი, როგორც სიმბოლო ბედისწერისა.

ალებასტრის ძევლი ლარნაკი, უცნაურის წარწერითა და ქარაგმებით მოჩითული. სყირდის ცინქაბალს ალიონზე მომიძლევნა იგი მორცხვმა ლეილამ ნიშნად და-ძძურის სიყვარულისა.

ლეილა!..

წუთით შეკველით და სამარალისოდ კი დავშორდით ერთმანეთს.

ვინ იყის, რამდენჯერ იყივლა მას შემდევ მამალმა!

ხოლო ხსოვნა კი ჯერ ისევ ცოცხალი: ცხუნარე ქვიშაზე ვისხედით, მჭლე პალ-მების ქვეშ, მღლუველთა ხელებივით რომ გაუწევდიათ ჩხარი ფოთლები. იგი კას შესკეროლა, მე კი მის თვალებს, ცასავით ვრცელსა და გამოუცნობს.

ვისხედით და ვსდუმდით.

საღლაც შორს, მინარეთის წვერალზე ისმოდა გულმოსკენილი ძახილი დიდი ალლაპის საცილებლად. ხოლო ჩვენს გერებით ტანწერწეტა შადრევანი ოდნავ გასაგონად ლოულობდა წინწერების კრიალოსანზე.

ესდუმდით და თითქო ველოდით..

ჩვენც არ ვიცოდით, ვის ან რას.

გამოთხოვების კიმი იყო უკანასკნელი.

როდესაც აენთნენ გარსკვლავები, ლეილამ თვალი მიწას მიაპყრო და ასე დაიწყო: „დიდი ხანა მას შემდგომ... თოვლიან დემაცენდს გარდა არაენ არის ამ-ბის მომსწრე. შორს, ქაშანის შეყულ სახანოში, სადაც ვარდს სწამლავს ასპილის გესლი, სტოკრობდა თურმე დიდი ქადაგი. ნიზამს ეძახდნენ. დაერიში იყო და მონა ღვთისა. უბიწოება ჰქონდა აღთქმული. ამიტომ ქალსა და ღვინოს ერიდებოდა, რადგან როგორც წყარო აქვს: უშერეტი ვნება. სოფელი გადაღიოდა თვისი ებანით და ღვთის განგებას აქციობდა ხალხსა. თაფლი და ლეინო ვის მოსწყურებია ისე, როგორც მისი სიტყვა.

ღვთიური იყო.

ბევრს უყვარდა რვი. მას კი—არაენ. მარტო იყო.

ერთხელ, მზის გადახრისას შეხვდა მას შემცირები ჰარილე, რჩეული ქაშანის ასულთა შორის. ქადაგი თურმე აუზს დაეყრდნო წყლის დასალევად, მაგრამ ვერ დასწევდა. ჰარილემ ააქსო თვისი კურქელი და მიაწოდა. მგზავრმა დალია და კურქელი იქვე, მის ფერთა წინაშე სის დახეთქა. განკვიფრდა ჰარილე.

ხოლო ქადაგა თევისი ყავრჯენი მოიმრჯვა და გზას გაუდგა...

მას შემდევ ჰარილე უნგუშურად ესტუმრებოდა ხოლმე იმ აუზს, მაგრამ უცნაური მგზავრი აღარსად სჩანდა. მას თვისი საგალი ჰქონდა. ელოდა ჰარილე და სწუხდა. გავიღი ხანი. აუზი დაშრა. მგზავრი კი ისევ განაგრძობდა თვის გზას. მაშინ ჰარილემ დასწყევლა თვისი გაჩენა. გამოსკენა ფუთა და მიჰყეა მის კვალს...

უდაბნოის მხურევალე ქვიშამ დასკერა მისი აბილი ფეხები. მრისხანე ჰამსინმა დაუშოთ სათუთი თვალის გუგანი. ასპილთა და მორიელთა დაპესლეს ტანი მისი ლალად ნიზარდი.

მაგრამ სული მისი მხოლოდ ნიზამს უხმობდა.

და აპა, მსოფლიოს დიდს გზაჯვარედინზე კვალად იხილა იგი: ლონემიხდილი დაყრდნობოდა დამშრალ რუს და ობმოკოდებულ გუბეს წევთობით სარუტავდა, ჰარილემ მუხლი მოიყარა მის წინაშე და შესთხოვა:

— სასურელო, მიიღე ჩემი სასმელი!  
განცვიფრდა ბრძენი.

— პურპელი რომ არა გაქვს?  
მაშინ ჰარილემ გაიპო ფეხალის მკერდი, ბუდიანად ამოილო სიყვარულით აფარ-  
თქალებული გული და გაუწოდა:

— ჰა, დაეწავე!  
რა წამს ვამა ტუჩი შეახო, მყის გული უცხო ლარნაკად იქცა და შიგ ბრო-  
ლის ნალესად ალიელევდა მწუთხე სასმელი.  
იგი ცრემლი იყო, ჰარილეს ცრემლი, მარტოობაში რომ ჰლერიდა ხოლმე მის  
მომლოდინე.

ქადაგმა წყურვილი მოიკლა და ქვლავ გაუდეა თავის დაუსრულებელ გზას...  
მას შემდგომ ქალი უგულოდ დაშთა, ხოლო მოუკვლელი წყურვილით გახელე-  
ბული ვაჭი მარად ეძიებს მას, რაც თდესმე საკუთარის ხელით დაუმსხვრევია.  
იპოვის განა?..“

თვალია შუადღე.

## ს. ჟავალი.

# დაგვიანეგული რითა

როცა, ჭაბუკი, შენს ოქროს თმას მზეს ვადარებდი,  
როცა შენს სახეს მე იუნებით დავატარებდი;  
როს ჩემი სული შენი სულის ბქეს დაჰკიოდა  
და ჩემს სიმღერას ზამბაზი და ვარდი სუვიოდა,—  
შენი სურვილი ჩემს ოცნებას ეურჩებოდა,  
და ჩემი გრძნობა უკუქცეულ ლოცვად რჩებოდა.

ახლა, როდესაც ცრემლით დავსწევ შენი სახელი,  
სარკე გავტეხე შენი სახის გამომსახული,  
და არც ცეცხლი მაქს სიყვარულის სამსხვერპლოსთვისა,—  
მოულოდნებად გავიგონე გამომახილი  
შენს ყრუ დუმილში დამარხული ჩემი ლოცვისა.

მაგრამ რომ კიდევ დაფერდებულილი აღმეგზნოს ცება,  
მეცდრეთით ალდეომით ჩემი გრძნობა, ვიცი, თვით იენებს:—  
შე მოგონებად დააწვება აწმყოს წარსული,  
ყავილს ვერ გაშლის მზე ზამთრისა სხივ-გაძარცული,  
ლოდ-ქეეშ ნამყოფი სიყვარული ვერ გაიცინებს...  
ახლა ვით ქალი მელოდიარე ჩემი ოცნება  
საფულავის ქვაზე თავდახრილი ჩუმად ქვითინებს.

ცრემლით აიცო ჩემი გული და დაზიანდა.  
გრძნობა მოსწოდება და დაშრიტა მწარე ნაღველმა.  
შევი ჩაიცა ჩემმა თვალმა, შენმა მნახელმა, —  
მე ჩემს სსოვნაში შენს აჩრდილსაც შევი ჩაგაცი  
და ფრთა-მოტეხილს ჩემს გულისთვისა შხამი შევასვი.  
როგორც ტირიფი, შემოსილი მტირალ რტოებით,  
დიღხანს ვტიროდი მე საფულავთან განმარტოებით,  
დიღხანს ვასმევდი სულის ნაღველს მტირალ სტრიქონებს,  
დიღხანს ვუძლერე სონეტები მჭერა ის კონებს,  
დიღხანს ვუცადე ტრფობის გვირგვინს სხივ დაფრევეულსა,  
მაგრამ, ხომ ხდავ, შენს სიყვარულს უსად წვეულსა,  
როგორც ამ რითას, მეტისმეტად დაგვიანდა.

## II. მღვწერის

### ურმული

აქტორთა მონაცემები.

შორიდნ სიმღერა მოესმათ.

ეს სიმღერა ურმული იყო.

მაგრამ არ ვიცი, მყითხელო, გაგიგონია-კი როდისმე ურმული ზაფხულის მოვარიან ლამეში? თუ არ გაგიგონია,— მაში ნუ დამემღურები, ვინიცობაა ჩემმა აღწერამ ვერ დაგაქმაყოფილოს. აქ, იქნება, თვით გენიოსსაც უმტკუნოს კალამმა და მე, — ერთი მორიგი მჯლაბნელი, — სათვალავში ჩა ჩასაგდები ვარ!?

ურმულის მიერ ადამიანის სულსა და გულზედ დაჩნდებული შთაბეჭდილება სხვა-და-სხვა გვარია. ის, ვინც არ იცის ჩენი ხალხის ყოფა-უცორება, მასი ყოველ-წეთიერი ტანჯვა-ვება წარსულშიც და აწყუშიც, გამუდმებული ბრძოლა ბუნებისა და ცხოვრების მრავალ-ფეროვან მოვლენათან, იქნება არც-კი მოთხოვნის ამ თავისებურის პანგის მეტყველებით... არც ის გამიკვირდება, რომ მან სთვეას კიდეც: — ეგ თქვენ ურმული მხოლოდ უხეშ სმენას თუ დაატებობს. შეიძლება, არცა სტყუდეს... კაცია და გუნდა... მაგრამ კეშმარიტი ქართველი მაშინათვე იგრძნობს, რომ ურმულში ჩაგრეხილია, ჩაქოვილია სული და გული ქართველის ერისა. და ის კი, რაც გამოსთქვაშ საიდუმლოებას ერის გულის-პასუხისას, სულთა-ქერისას, — მე მონია, და შენც დამეთანხმები, რომ მარტო უხეშ სმენას როდი უნდა ატებობდეს.

არის ისეთი სიმღერა, რომელსაც თვით ხელოვნების დიდებული ჟურუმიც-კი ვერ დასძლევს, ვერ ართმევს ალლოს და ვერ მოუქებნის იმ იერს, რომელიც პშიბლავს ხოლმე მსმენელს. მაგრამ ნშირად მოხდება, რომ ამავე სიმღერას ერთი უბრალო ადამიანი რომელმაც არც-კი იცის, არსებობს თუ არა ქვეყნად სიმღერის წესი და რიგი, ისეთი გრძნობით განმსჭვალავს, ისეთის მაღლით აღავსებს, რომ განკუთხებას ეძლევთ.

ურმული ერთი ამ სიმღერათაგანია.

რამდენჯერმე გამიგონია იგი ნაძლვილ მომღერალისაგან და უბრალო გლეხ-კაცისაგანაც. და არასდროს მომღერალს არ ალექტავს ჩემს არსებაში ის უცნაური, — თან ნეტარი, თანაც მწარე, — სევდაანი გრძნობა, რომელსაც ყოველთვის ამიშინიდა ხოლმე უბრალო ადამიანის სადა, მაგრამ მუდამ კილოიანი ღულუნი. ან, იქნება, ამის მშენები იყო ხოლმე ურმის გულგამწვრილებული ჭრიალი, ხარკების დარბაისლური ფეხის ბაჟუნი, მეურმე თავისის სახრის ტკაცუნით და შოლტის ტყლაშენით და მთვარიანი ლამე, ყოველივე ეს ერთად შეთანხმებული, ვით ბუნებრივი აკომპანიმენტი პანგისა, — რომელსაც მოკლებულია მომღერალი... და რაღაცაც ახლა მე და შენ, მკითხველო, სწორედ ასეთი გარემოება ხელს გვეწყობს, მოუშმინოთ მეურმეს მისი სიმღერა.

მკითხველო, შენს ცხოვრებაში. ხმირად თუ არა, ერთხელ მაინც ალბად შეგხვედრია სევდით ალსავეს თვალები. შეიძლება, ამ თვალების პატრონი გაჩერებული იყოს, უმოძრაო, მაგრამ, სამაგიროდ, მისი თვალები მაინც მეტყველებს, მეტყველებს... სევდას... ინ იქნება, იგი იკინძღეს კიდეც, მხიარულებდეს, კეპლურობდეს... თვალები მაინც მეტყველებს, მეტყველებს... ისევ იმავე სევდას... სევდა ამ თვალებისათვის განუშორებელი შინაარისია, ბუნებრივი, უკალული... მოხდება ხოლმე, რომ ამ თვალების იერი თითქოს უცბად ფერს იცელის... მაგრამ, რომ დააკვირდე, ადგილად შეატყობ, რომ იცვალა თვალების იერი-კი არა, არამედ — იერი სევდისა. აქმდის სევდა თხლად იყო მოდებული თვალებში, ახლა უფრო გახშირდა ღრუბელივით, ჩატბორდა აზვირთებულ მორევივით და აქა-იქ სიღრმეში თითქოს ცრემლმა იწყო ციალი.

თუ ერთი-და-ერთი ჩაუკვირდი ამ თვალების მეტყველებას,— სამუდამოდ სამა-  
ხსოვროდ დაგრჩება, თავის დღეში არ დაგავიწვდება, როგორადაც რომელიმე  
ფიალი აზრი, იდეა...

რომ შესაძლებელი იყოს, ხმას, ჰანგს ხორცი შეასხა და ხედვისათვის საჩინარი  
ჰყო, მაშინ ურმული სწორედ იმ სევდიო ალსავსე თვალებად განხორციელდე-  
ბოდა. ხმა-შეკიდებულ ამძახხილში, თუ დაბლა დამდოვრებულ ფარდებში გა-  
ნუწილებელი სევდა გაისმოდა, ხან მშეოთავი, ცეცხლივით მწვავი, ხან მინე-  
ლებული, მინდედილი, კით ბინდ-ბუნდი მწუხრისა.

როგორადაც ის სევდიო მოცული თვალები არავის და არაფერს არ უჩინდა,  
სწორედ, იმის დაკავლად, ურმულიც არავის ჰყველრიდა, არავის ამხელდა. თვა-  
ლებშიც და ურმულშიც თანასწორის ძლიერებით გამოითქმოდა რაღაც ბედის-  
წერითი კაეშანი, თითქოს ეს კაეშანი მხატვარი ყოფილიყოს და თვისის ხელით  
ეხატოს თავისივე სახება — ერთს შეტხვევაში თვალების მეტყველებით და მეო-  
რე შემთხვევაში — პანგთა ალზნებით.

ასეთი იყო ურმული, — ეს სიმღრა სევდა-კაშისა.

სტერცეს მეურმის ხმი თამამად აპობდა, რადგანაც ირგვლივ მუკდროება იყო  
გამეფებული და გზად სხვა არავთარი დამაბრკოლებული წმაურობა არ ელო-  
ბებოდა. პატი თრთოდა, ირყეოდა ხმის ნავარდზე, თითქოს შიგ სხივი-რამ  
შეეჭრა და იქაურობა მთლად ააბზინაო. მეურმე მჭახედ როდი მღეროდა. — ურ-  
მულს სიმღახე, სიძლავრე არ უდღება. ურმული ნიავითი სათუთი პანგია, პა-  
წია, მაგრამ მრავალ-გრძებილოვანი. პანგის სხვა-და-სხვა ფარდა ზესკრელ-კვესკ-  
ნელსა ჰევას და ამ ორ კიდეთა შორის მრავალი მიხეულ-მოხვეული საფეხურია,  
რომლებზედაც ხმა გველურის კლავნით და რხევით ჩადის და ამოდის...

### ქ. მაყავალი.

## იცი რა?

იცი რა?  
მიძირა  
სიყვარულის ზოვან.  
მაგრამ რა!  
მომპარა  
შენი თავი სხვამ!!  
მას უმზერ  
მას უმლერ  
შენ სიმღრას ჩემს!...  
ვნებით ის  
ვიცერის,  
სულში ლხხვარს მცემს!  
რით გატებობს?..  
რით გატებობს?..  
მიგიჩნევს ლმერთად?  
შენ თუ ის  
ვან სტეფანი?  
ორივე ერთად??...  
ახ, გულსა,  
დაგულსა—  
ახწინობს იქვის ფხა!  
რა ვენა, რა?  
ტყვია გრა?!..  
შეკრთი?... ხა-ხა-ხა!!!...

31. 3. 2018 საქართველო.

## ქალს ჩაუნიღ თვალით

რად სხვანაირობს შენი ცქერა და რად მაწვალებს?  
გული, პირბადით დაბინდული, მე მენავსება;  
იღუმალ თრთოლვით შე ვუცქერი შენს ცისფერ თვალებს,  
— მაშინებს მუდამ საკერძოელი მათი მსგავსება.  
და ამ ორ თვალში რომელია ყალბი, მართალი,  
ჩემთა ოცნებაშ ვერასოდეს ვერ გაარჩია!  
არ გიყვარს მთვარე — ვარსკელავების ნაზი სარდალი,  
არ გიყვარს ღამე — სასიკედლო შავი არშია.  
შენ თვალს ჩაუნიღს მზის სიცემში გაათბობ, ალბათ,  
გეღდის პროფილით დაიმოჩებ ბევრ მამაკაცებს.  
ო, რა უცხოა შენი თვალი, მხიბლავი ყალბათ,  
ცეტავი იმსა, ვინც ამ თვალზე ნაზათ გაქოცება!  
თვალის მაგივრად შენ ძირფას ქვას მუდამ ატარებ,  
რომ მე ყოველთვის ვორცნებო ხელოვნურ თვალზე;  
შემლილ ქალაქის ავხორციან სფინქსს შეგასარებ,  
და გული ლექტში ატირდება თავის ფრიალზე!  
შენ როცა გძინავს, გალებული გაქვს თვალი ერთი,  
მაგრამ მე მაშინ... მე არა ვარ შენს სარეცელზე,  
და მე არ ვიცი შენი ცრემლი, ხმა გასაღმერთი,  
მხოლოთ სიზმარში ვეამორჩე ბეჭედს შენს ხელზე!  
მე არ მაგივებს შავგვრემანი შენი ღლავი,  
და ქლავიშებით მოთენთილი, წერილი თითები,  
მე მათორობს, მათრობს გამოუტნიბ თვალთა წიავი,  
მაგრამ ყოველთვის მეღილურათ მომერიდები!  
რა რიგ მწუშრია მარგალიტი, თვალში რომ ბრწყინავს,  
ო, როგორ მინდა შენს წამწამებს შევეხო ქბილით!  
ეგ შენი თვალი დაუნდობი გულს გამიყინავს,  
ეგ შენი თვალი იამაყებს ჩემი ტკივილით!

### სიცავ კაცები.

#### PRELUDE

მე მოევდი ამა სოფლად უკნაურად მოხიბლული:  
თვალს არ უყვარს ბაღჩის ვარდი, გულს არ მიკავს ტყის ბულბული...

კვის და რკინის საზანდარი, გაცემერ ქვეყნის ტლანქ სისუნჯეს,  
ტრაგედიას ხუმრობად ექმნი, ცრემლით ვამჟობ სიოხუნჯეს...

მე მწამს: სიტყვა თლილი ლოდის, გრძნობა — მზისფერ ცეცხლისთანა,  
კაცს და მზელსა ერთნაირათ ჰქებნის ღმერთი და ჰქებნის სატანა...

მე მოევდი ამა სოფლად, უკნაურად მოხიბლული...  
მე დავგლიჯე ბაღჩის ვარდი, დავაღუმე ტყის ბულბული.

ნაკიანის დამლევი.

კარლი საუბოლი.

## ცევდიანი ზურმუხტი

ნოხთა ყვავილებს გადაესხა ოქროს სასხური,  
მაგრამ დედოფალს ჯერ არ სძინაეს და თეთრად ელის,  
პირამიდებში გაიფანტა ნისლი სიბნელის,  
და კიდევ ერთხელ მოშვილდაობს მეფის შასხური,  
ღლეს სხეანირი: უკრწასული და უსახური.  
მოპქრიან სმები საშენელი გასაგონები:  
„მოგვიყლეს მეფე“. და ატირდენ ბნელი მონები,  
დარბაზში კრძალვით შესავენეს მბრძანებლის რახტი.  
ღამისუერ ფარჩით შეიმოსა ფირუზის ტახტი.

ღრმა ღამეებში, თეთრ ლანდივით შესახედარი  
სწუხს დედოფალი: დაფანტულა ფიქრი მრავალი;  
საზღვრების იქით იხედება მისი მხედარი,  
მაგრამ არ იყის ნათელი გზა იქ წასავალი.  
და მძინარ დარბაზს თითქო ნაზად მიეპარება,  
სანთლას ფერ ლოუკით აქტარებას მეფეს პირდება,  
მაგრამ ჩეარი მზე შორეულ ლანდს მიეფარება,  
და დაღალული მეოცნება კვლავ ატირდება.

აღმოსავლეთის ძეირფასი ქეა, თეთრი მაღლნნა  
დილით ირთვება ელვარებით და სიძვირფასით;  
მაგრამ იჩქებს დედოფლის წინ ასულიმონა,  
ფრთხილად ავროვებს ზურმუხტის ცვრებს იისფერ თასით.  
და ყოველ ღამის, ამ ცრემლებში პირდაბანილი  
კრძალვით შეხვედრა ჩემ დედოფალს მ-ტად უხდ-ბა.  
და როცა მოვა სურნელება მზით მოტანილი  
ემჩნევა სახეს საკვირველი გაზურმუხტება.

საზღვრების იქით ნათელი გზა არ ინახება  
რაც უნდა ბევრი ღამეები ცრემლებით სთვალო!  
ძველ სიმღერებში შენი მუდამ წმინდა სახება,  
თეთრ პილიგრიმებს შენახული აქეს დედოფალო!  
როცა არაბი ჰევანტავს სილს აელვარებულს,  
იღონებს როგორ ლოულომდი და როგორ სწუბდი,  
და იმ სიმღერას მარად ახალს და შეევარებულს,  
პირამიდებში სევდიანი,—ჰევია,—ზურმუხტი.

ღეო ესეჩლი.

## ქება გაზაფხულისა

— გამარჯობა!.. გამარჯობა, გაზაფხულო!!  
აპა, შენი პირეელი გამოხედვა.—იგი მცენარეთ აკოკრებს!!.. აპა, შენი ბუნება!..  
იგი ჭალწულობის წილისებრ უმანქოა და უცოდველი!!.. აპა, პაერიცა!.. იგი  
სუნთქვა შენი მსუბუქი და წმინდა!!  
— გამარჯობა!!  
უშანკო ხარ, ვით უასაკო ასული! ბაგენი შენი—მიხაკის წითელი ფოთოლნი,

და ლაწენი შენი—გასაშლელ ვარდის მკრთომარებანი!.. კბილნი შენი—შრო-ზანის ძიები, და თვალი შენი—უჩინარი ვნება!!

ჯერ უმტკვნო მკრთი შენი და სწორი, ვით ზედაპირი დილის წყნარი ზღვისა, რომელიც დუღილის ზეირთების, ვნების მთების, მოლოდინშია და მუცელი შე-ნი შეუძრეველი კვირტი, სიმწრისა და სიტტბოების უცოდნარი!

— მოვედ!.. მოვედ, მშენებირო და სატრფოო, რათა გიხილო სავსებით და შეგიყვარო, რაძეთუ ცხოვრება ხარ!!

— მოვედ!.. მოვედ, მშენებირო და სატრფოო, რათა გეამბორო და გავიხარო, რამეთუ ცხოვრება ხარ და მსურხარ!!

— აპა, მოსულხარ, დაასაკებული, აღვსილი!!

ვთი გაშლილი ვარდი ყნოსვად, ისე ლაწენი შენი კოცნად მიწევენ!.. თვალი შენი ვნების ცეცხლს მატრქევენ, და სურეილი შენი ცხადია!!

შენი მკრთის ზღვის ზედაპირი მთებს გაუპია, შენის სრულისაკობის ძუძუთ, რომელიც ქარეასლანი არიან ნეტარების, და ტანი შენი—სიყვარულის ღვინის შადრევანა!

— აპა, მე,— ქარეასლასა თანა შენსა, რამეთუ მუნ სდის მდინარე წარუგალობის, და მსურს ვიხილო წყარო მისი!.. შენის სიყვარულის ღვინის შადრევანს დაეწიათვი მწყურალი მისი და დავითერები, რამეთუ მწყურია სიკოცლე, და ღვინო შენი—მომზიკებელი მისი!!

— ამბორმყავ და მასვი თაფლი შენის პირისა!! ამბორმყავ და ზთამბერე სუნ-თქვა შენის მკრთისა. რამეთუ თაფლი შენი—ცხოვრებაა, და სუნთქვა შენი—უკვდაება!!

ზამთრით ვარ მოწყლულ, და სული ჩემი შეფოთვის ცეცხლზე იწვის. რამეთუ ვისმინე ხმა სიკედილისა ამ ზამთარ და ვიგრძენი, ვითარ შემეხო ფრთე უქუნეთის!!

— სასო ჩემი—შენი ამბორი! სიკოცლე ჩემი—შენი ღვინო, და სუნთქვა შენი—უკვდაება ჩემი!!

— აპა, მასმინე ხმა შენი, სატრფოო და მშენებირო!.. მასმინე ხმა შენი და აღმოშალე სმენისაგან ჩემისა ხმა იგი სიკედილის, რამეთუ არ დამკეიდრებულა სიბრძნე სულს შინა ჩემსა და შიში მიპრობს მე!

— ხმა შენი—საამო, ტებილ და სასურველ!.. ხმა სიკედილისა—საშინელ და ტკედმქელ!

... მე—წყლული ტანისა შენსა ზედა. და სიმშენარე გაზაფხულობისა შენისა მე—კერძობა გარეშე შენის მთლიანობისა!.. მე—ეკნესა და უცირილი გარეშე შენის სიმფონიისა! რამეთუ სიკედილი მახლაეს მე და სახე ჩემი აულორძინებ-ლად წარმავალია!

— სახე შენი—მრავლობა და უკვდაება!.. სახე შენი—მსოფლიო და უსამანობა!

— შეგიყვარე შენ, რამეთუ სრულება ხარ, და სულსა ჩემსა სწყურხარ!

— მოვედ და ამბორმყავ!.. მოვედ და შემიყვარე!.. რამეთუ ამბორი შენი—დათურგვნა სიკედილის, და სიყვარული შენი—ხსნა ჩემი!!

— აპა, ტებილია თაფლი შენის პირისა!.. მათრობელია ღვინო შენის ტანისა, და გამკურნებელი—შადრევანი სიკოცლის ეშნისა შენი!!

მიზრი გვაჩავა.

## ქართველი ქალი

ოსმალელმა ქართველ ქალსა შემოჰყოფა სიყვარული,  
ჰერი— „ტურქავ, ცეცხლის ალსა შენ მიეცი ჩემი გული;  
დამეკარგა სულ იმედი, ცრემლიკ ბევრი დამედინა,  
მოწმად მომყავს მუპამედი მისი მექეა და მედინა!!“ —

რუსმა ჰერი— „ფრთხილად ქალო, ურჯულომ არ შეგაცდინოს,  
მასში რაა სატრფიალო, ჰერიფიბს და არ სეამს ღვინოს!  
შენს სიტურტეს, გულის ძეგრას, დააფასებს იგი განა?  
შენც დაგაჭერიბს, ვარდის ფერას, მის უმზეო ჰარამხანა.  
ტურქავ, ჰახე ჩემი მხარე, ჰახე როგორ მიიშლება  
მის სივრცეზე მოელვარე დასავლეთის მონათება;  
ამ შეჯითა მოხიბლული შენც გახდები ბედნიერი,  
ქალო, ჩვენ გვაქვს ერთი რჯული, ერთიც უნდა გვქონდეს ჰერი“ —

ქალმა ბრძანა: „დამეხსენით, ორთავესა გიცნობთ კარგათ;  
ნდობა წმინდა, სავსე ლენით, ორთავესა დაგეკარგათ;  
ჯერ არ მახსოვეს აქამდინა დღე უძრუბლო, უბურუსო, ---  
არც მექეა მწამს, არც მედინა და არც შენი ფიცი, რუსო...“

### 6. ლორმისიუანიერ.

## გული

მოკვდა.

დის ნაზს ხელს არ გაუსწორებია სასთუმალი; იღმალის მწუხარებით არ შე-  
მოუხედავს ავადმყოფის ოთახში სატრფოს თვალებს; ნაცნობებს არ მოუკითხავთ;  
უკანასკნელ წამს შენდობა არ მიულია იმ მშეიდ, წყნარ ადამიანისაგან, რომ-  
ლის ძალა აღიარ სწამდა, მაგრამ დამამშევიდებელი სიტყვების მისგან გაგონება  
მაინც უნდოდა; დედის არ დაუყრია ცხარე ცრემლები.

მოკვდა უცხოებიში.

—ათასი სნეულებით იყო ავათ; არაეთიარმა წამალმა არ იმოქმედა: იმართლებდა  
თაქს ამხანგთა წინაშე ექიმი:

ცხედარი გასკრეს.

პროფესორმა ხელები ჩამოუშევა და გაკეირებულმა წამოიძახა:

შეხედეთ, ბატონიშვილო, ეს რა ამბავია?!

ერთმანეთს შესკეროდნენ.

ბატონიშვილო, გული, გული სადღაა?

გულის მაგიერ ფერფლი და დარჩენილიყო.

დეპშით გაგებულ უბლეურებისაგან თავზარდაცემული დედა შეეიდა საყვარე-  
ლი შეილის ობლათ დატოვებულ ოთახში. ქვითინებდა: ასე გამომიმეტე ქვრივი  
ოხერი? სადაა შენი კარგი გული, ამდენის ვაით და უთ რომ ჩაგიდგი სა-  
გულები?

კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

მე დაგაქენე!

მე დაწვიო! — გაბმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია.

ჩერიჭენ.

## გულის ნამცევი

გახსოვს, ერთხელ სიომ ჩანგი წამოანთო ასაკლერად;  
გახსოვს, ფოთლებს სისხლის ლაქა წაცაეცხო წინწელის ფერად;  
გახსოვს, წყაროს ქიმ-ნაპირი ისე ყო დახავსული,  
ვით ჩემს ლექსში იღმიალად მომწუცდეული შენი სული.  
ვეკნაობდით, გახსოვს, ორნი კუელქომბდით, ენავარდობით,  
აწყოს კევრეტლით ღიმილითა და წარსულზედ არ ვდარდობდით  
ვიგონებდით ძელ მეგობრებს, კოცნებობდით მომავალზე  
და ცრემლები სიცილისა ძეწევაობდნენ ლამაზ თვალზე.  
ამ დროს უცბად ბალს ქსრუმრე და გამშორდი ისე ხელად,  
რომ მე სიტუაც ვერ გითხარი ხეაშიადის გასამხელად,  
აკონილი ყვავილების რამდენიმე სტრიქონ-ბჭარი  
გაღმომეუცი! და შეილივით მეერდში ფრთხილად ჩავიკარი.  
დრო გავიდა. თურმე იმ ვარდი შენ რომ გულით მომიძრენი,  
თან გამოჰყა შენი გულის ანამცეცი, ანაფუქენი,  
და მას აქეთ იმ ვარდის ცვარს ჩემი გული ხარბად იშრობს—  
ის ღიმილობს ჩემს ტუჩებზე და თვალებშიც იგი გიშრობს.  
შენი გულის ნამცეცები,—შენი ტრობის საერთახე,—  
გადავმალე გულის სკივრში, გულის სკივრში შევინახე.  
მას ევლება ჩემი ფიჭრი, ჩემი ლექსი, ჩემი ვნება,—  
ნუ მეძალუთი! მე არ ძალიძის ამ ნობათი დანებება;  
შენ კი, ჩემი მეგობარო, რაც მომიძლევნ სამახსოვროდ;  
გულს წამართო და მე, მეფე, კელავ გამხადო სამათხოეროდ?  
ო, ნუ იზავ შეუძლებელს, მე ისედაც დავრჩი ომლად,  
მე ისედაც არვინ მიყის სიყვარულის თანამგრძნობლად.—  
მე მაცოცხლებს ჩენი ტრფობა, მე მაცოცხლებს ტრფობა ჩენი,—  
შენ რა იყი რა განძია ვარდი შენგან მონაძლევნი?..

ულვა დელინი.

## ნასხვისარი—გაჩემებურებული

მიყვარს სურნელება ძეელის გამომდგარის ღინისა, გამოლება კარგი თამბაქოსი,  
სპარსულ ხალისის უცხო რამ სახები, სისალუ ქა აბრეჭუმის ქსოვილისა, ცის  
ტანცობის სხვადასხვა ფერიბა, ზღვის ბუტბუტი, ჩირჩილი ტყისა, სიმწენე  
მინდერისა და მიუვალ მთათა ვერცხლით მოქედილი მუხარადი. მიყვარს კერია-  
ნი, გულის ტკივილით დაწერილი წიგნი, ლამზი ქალები, თეატრი, ყვავილები  
და ბავშვები.

მაგრამ მორლოდ ამისთვის არ მიყვარს ცხოვრება.  
არც იმისათვის, რომ მას თან ახლაქს კეთილი და ბოროტი, მშევნიერება და  
სიმახინჯე, უფსკრული და შწევრებალი, სიმიღიღე და სიღარიბე.  
არა ამისთვის!

მიყვარს მისთვის, რომ ცხოვრება დაუცხრომელი და ბრძენი შემოქმედია.  
მიყვარს მისთვის, რომ იგი ეძიებს და მიისწრაფების, პემნის კანონებს და არლ-  
ვევს მათ, ანგრევს და აშენებს.  
მიყვარს მისი დაუდგრომელი სული, მისი მუდამი ცეალებადობა, მარადიული  
შემოქმედება...

და თუ მე სულელი ვარ, სხვებზე კერინი მაინცა ვარ; თუ ღარიბი ვარ, მაინც  
უძლიდრესი ვარ სხვებზე; თუ მახინჯი ვარ, სხვებზე მშევნიერი ვარ მაინც; თუ  
უბედური ვარ, მაინცა ვარ სხვებზე ბეღნიერი.

III. გრამატიკა

## აღნიშვნის გაღი

არაბული სიმღერები X საუკუნეები

ეს ლექსები დაწერილია არაბებისაგან ესპანიში მეათე საუკუნეში, ნაპოენია ტომბუქტუში ძეველი სანკორის უნივერსტეტის არქივში.

ხუთი საუკუნის წინედ, ვიდრე ტუარეგები დაარბევდნენ ტომბუქტუს, ეს შესარე ცენტრი იყო მთელი ისლამის გონიერები და მრაველობის განვითარებისა. როდესაც არაბები განდევნებს ესპანირდან, ბევრი სწავლული გადასახლდა ტომბუქტუში. მაგრამ ეხმა ამ ქალაქის მხოლოდ ნანგრევები დარჩა და დიდებული სანკორის უნივერსიტეტი მეჩეთად გადაუეთებიათ, რომელშიაც მსახურობს მარაბუტი. ის გულმოდგინეთ ინახავს წიგნებს, რომლის უმეტესი ნაწილი ინტერესს მოკლებულია. ერამა ფრანგმა მკერავარმა დაითანხმა მარაბუტი რომ ეწერებინა მისთვის არქივი, სადაც იპოვნა პერგამენტი, რომელზედაც წმინდა არაბულ ენაზედ დაწერილია ეს ლექსები — „კასიდას“ და რომლის გადმოწერის ნებაზოთაც მიიღო:

### 1. მოთმინება.

როდესაც გესაუბრებოდი, შენს კალთაზე მავნოლის ყვავილის ჩრდილი დაეცა. ის ისეთი მძიმე იყო, რომ შესწევიტე ჩემი ყურისგება და რწევა დაუწევა იმ ჩრდილს, როგორც შეგვეძლო რწევა ჩემი სიყვარულის შეილისა, თუ ოდესმე აღსრულდებოდა ჩემი სიყვარული.

### 2. მობანავე.

წარები მაღლა აგეწია და ბაგე გაშლილი გადასკეროდი მდინარეს, რომელსაც ეიძებოდა შენი ტანთსაცმელი. ამ დროს ნაპირზე მივდიოდი და გადმოგახსავ:

— სალმი, ბაყილის ქალო! კა გწყალობდეს ბედნიერებით.

— რა ბედნიერება! ჰედავ! წყალს მაქვს ჩემი ტანთსაცმელი.

მაგრამ მგრანს ყოველთვის მზათ აქეს შოსწრებული პასუხი და მე გითხარ:

— იყავ ბედნიერ, ბაყილის ქალო! შენი სიყმაწვილეც იმ ტანთსაცმელს წააგავს, რომელიც მიაქვს ნიალგარს. ლითი დღე ის თანდათან შორს მიდის და ვერავის ხელი ეერ დაიქვერს მას. ნუ უცქერ! ნუ! ნიალგარს. მოდი ჩემთან ჩრდილში და მე დაფურავ კოცნის ტანთსაცმელში.

### 3. ბრძოლა.

სიყვარულის სიტყვები ტუჩზე გაიყინენ და ჩამოვარდა მკედარი სიჩუმე. ასე სდუმს თრ მაპირაპირეთა საბრძოლველად გამზადებული ბანაკი.

დაიწყო ბრძოლა, ბრძოლა სიყვარულისა. მე თავდავიწყებით მივეცი მას.

ჩემი კოცნის ხმა გაისმოდა ვით მზალთა წერიალი, ჩემი სუნთქვა წააგავ-და დაჭრილთა ოხრას, და ჩემი ძარლვების სისხლის ტურიალი გაქანებულ ეტლის ხრიალსა...

ვით დახეული დროშა გადაგისროლე შორს! შორს!..

### 4. ხანგლები.

ისინი ბრძოლის მზის სხივებში ბრწყინავენ, ისინი სისხლში მოსერილ მკელელის ხელშია და სიყვარულის სახის გამომეტყველებაში.

### 5. ხიბრძნე.

ის უერ აბრეშუმიცით დაწევა სილაზე მისი ჩრდილი.

— შეჩერდი!

ვეველრებოდი მას.

- მომეული ნება, რა გენალელება ვკოცნო მე იმ აბრეშუმს?
- ეს განა მხოლოდ ჩრდილი არ არის დედაკაცის?
- დიაღ! ეს ჩრდილია იმ დედაკაცის, რომელიც მიყვარს, მაგრამ არ ძალ-მის ვაკოც მის ტუჩებს. ნება დამრთე სილაზე ვკოცნო მისი ჩრდილი. ჰედავ, ის ვნებით როგორ თრთის?
- ჩემი ტუჩები ამ სილაზე მხურვალეა და რად უნდა ჰქოცნო სილას? მაკოცე ტუჩებში საყვარელო.
- უკოცნელად გავშორდი, რადგან მისი ტუჩები ჩემში აღარ იწვევდენ კოცნის სურვილს.

## 6. სასოწარკვეთილება.

ჩემი გული გსურს? აღარა მაქეს ის?

შენ თვითონ იცი ვინც წარიტაცა.

ჩემი სული გსურს? აღარა მაქეს!

სიკედილის შევი ანგელოზი გეტუპის სად არის ის.

პა, ოთხი ხანჯალი, შენს კარებზე მით მიმაჩებე, მხოლოდ მომეული უფლება ვსტკ-ვა: „მიყვარხარა!“

— თუ სიკედილი გსურს, რაღად მინდა შენი სიყვარული?

— შენ შეპტმნი მისგან უმწიევლო კოცნას და მოუძღვნი ჩემს გაციებულ გვამს.

## 7. ყელსაბაზი.

შენ გაუგზავნე ყელსაბაზი ზეინაბს? რა თქმა უნდა გაეხარდება, მაგრამ ყელს გაუკიცებს მარგალიტის მძიები.

მეცა მყავს ქალწული, რომელიც დარჩა იქ მზის სამეფოში. განშორების დროს დავკიდე მას ყელსაბაზი ჩემი კოცნისა და ყოველი მარგალიტი მისი იყო ჩემი ცრემლისა.

## 8. ლაშეზი კოცნა.

ორივე ხელით მოწიე მე შენი თავი და გაუმაძლრად ესვამდი ტკბილ სას-მელს სიყვარულისას.

საკირველია! სად იყო ამ პატარა სურაში ამოდენი ტკბილი სასმელი?

## 9. სიზლეზა.

მე ოდესლაც მინახაეს ზღვა, ის ადიოდა ჰორიზონტამდის მოთესილი თეთრი აფ-რებით, თეთრი ვით შროშანი შენს ბალში.

შროშანი ჩიმოსწყვეტილი ქარიშხალმა და მისი ფოთლები სცურაედნენ ზღვაზე.

მე ოდესლაც მინახაეს ზღვა.

იმ დროს ის იყო აზერითებული, ვით შენი სიყვარული დი მასში ილუპებოლნენ ბედნიერების მაძიებული.

შენს სიყვარულის ზღვაზე დაესცურავდი მე ოდესლაც, და თუ შემებლო დავ-აჩვენებულიყავ ნაგოსადგურში, იმიტომ, რომ შენ არ მიყვარდი.

## 10. ძილი.

მახსოვეს მე დილა დამასჭი, მახსოვეს სიჩუმე ბალისა, რომელშიაც შენი გეძინა. შენ ყელისაგვან წევებოდა მტრედის ფერი ჩრდილი, შენი შეერდი ისე ირხეოდა, ვით მდინარის შეაგული.

შენი ხელები ბალახებში ვერტხლის ფრად მოწერიალე ირ ნაკალულს წააგავდა.

და პეპელები სხდებოლნენ შენს ფრჩხილებზე, რადგან ყვავილები ეგონათ.

ნერავ ამ წეუთში მამა ჩემი თუ ხედავდა სამოთხის შეიდ ბალში პურის, შენზე მშენიერს?

მე დავწერე შენს გვერდით, ვით მათხოვარი მეჩეთის ახლო,

კარი პაპავე.

## ვერების სიმღერა

როცა მძიმედ მოგეხარეს და რაც გვიყვარდა მოგვტაცეს, უნუგეშობამ იფლო ჩვენი სული.

განაწარმები ვიყავით და წყვდიაღში ლამპარს ვეძებდით. მაშინ მარტო ახალი გზა გვინდოდა, ვევდრებდით — „აღმოვეყვანეთ მღვიმისაგან გლახაკობისა“.

რაც დავკარგვთ, მის ძიებაში ვიყავით, გვინდოდა ბილეკი მაინც გვეპოვნა მასთან მისაელელი, მისი ხმა ერთხელ კოდვ გვიშმენდა: საყვარელი, მშობლოვრი.

„რა პატივს ჰყრიდა ნაზი ბულბული“, თუნდაც მისი გალია ოქროს ყოფილოყო... ჩვენი გალია ხომ უხეშ თუჭის ბორკილებისაგნ დაელობათ, ვინ გაამტყუნებს ამ ბულბულს, რომ მარტო ,დამიხსენით! ამაფრინეთ!“ იძახოს? თუნდ არა მუსიკალურადაც.

ჩვენც ახას ვითხოვდით ჭართულ მწერლობისაგან—გალიიდან თავის დახსნა გვინდოდა მეტად.

და იმათაც, ვისაც დიდი ბუნება ჰქონდა, გასწირეს თავი და „თავისუფლების“ სიმღერით ამოიწურენ.

პოეზია, თანდასითა: პრინციპთა კონტეტიზაციას ემსახურებოდა, ლოზუნგებს სუედდა მტრის დასაქოდად. მას განსაზღვრული მიზანი უფრო იტაცებდა, მინამ უქმეშევი განცდა ხელოვანისა.

პროპაგანდა მარალ აზრებსა და ხელოვნება სინონიმებად იქცენ: მეორემ ბევრი დაპეარება, პირველმა საქმაოდ ისარგებლა.

პიროვნება წაიშალა, ინდივიდუალური ხელოვნება გაპქრა და პოეზიაში ჯგუფობრივამ დაიმქიდრა.

ყოველი მგისანი თვის ჯგუფის დღიურ ვარამს დამღერის: გაურბის თვის თავი და სხვა ჯგუფთა „მიმართულებას“.

ბოლოს სურათი სანუგეშოდ ცეკვება: საზოგადოებრივი დიუქენენციაცია ნორმალურად ვითარდება—პოეზიას პუბლიცისტიკიდან ექცევებიან და ხელოვნება საკუთარ ბუდეს იჩენს.

ეხლა გისხამო ფრთხებს, თვალს ვახელოთ; და ძნელია ბევრის მოთხოვნა.

მაგრამ ერთი აშენაა. ძველ მანერის მწერალს ვერ მივიღებთ, შშრალი რიტორიკა წუთითაც ვერ გვატყვევებს—გულწრფელობა შემოქმედისა მოთხოვნის მინიმუმი.

მგოსანიც ფეხს იბერტყავს, თავს მაღლა სწევს და პირველად ამბობს ახალ სიმღერას, საკუთარ სიმღერას. მან აშენად დაიწყო თვის თავის ძიება, ინდივიდუალურ ჟანგებზე უღერა.

ეხლა ბევრი პოეტად ვერ გახდებიან: თავის პანგზე სიმღერას პირადი უნარი სცირია.

ვისაც სული მელადიებით სავსე არა აქვს, ნუ მღერის,—ყური დაუგდოს უცხო სიმღერას.

მოღის თაობა, რომელმაც გულწრფელად, საკუთარის ნოტებით უნდა გვიძლებოს თვის სიყვარულზე, თვის სულის ლელაზე, ლოცვის ჩურჩულზე.

მეტწმენეთ, აქ მეტი დღეურობაა, მინამ პათეთიურ ძან-ლში: „აბა ერთად, შევებრძოლოთ...“ მე არ მინდა უსიცოცხლო პიროვნების შემოქმედება, უიდეურობა, მაგრამ არც პროგრამული იდეა სწამს შემოქმედებას. ვინ მოსთვლის სადაცის მებოძოლის, შეუვარებულის, ვნებინის მელოდიები...

მეტად მოყვარულნ ვართ „კულტოკეცილ“ იდეებისა პოეზიაში, ამიტომ დღეის მწერლობაში, მას რომ ვერ ვამწნევთ, გული გვიკედება და რაც არის, მასაც ვერ ეხედავთ. არ გვაქნაყოფილებს, პროგრამის ზომიერებაზე აღზრდილთ, გიური თამაში სულისა, „უშინაარსო“ სიმღერა.

მაგრამ, ცხადია, ისე ძლიერად მოხვდა ჩვენს პოეზიას თავისუფლების ტალღა,

რომ მას თვალები აერია, თავი დაუბრუვდა და მარტო ნეტარების სიმღერას აშთობს.

ხომ აგრე გიყვართ თავისუფლება? მაშ დაცალეთ, მათაც იგემონ განცხოობა ბორკილების დამსხვრევის შემდეგ. დღეს პირველად მივეცით წება—თვის თავზე მოვეოთხრონ, მონობას თავი ანებონ და გულწრფელი დარჩენ.

არ იყვნენ ამას ჩვეულნი.

ვის შეუძლია მოსთხოვოს, დიდის ხნით დანატყვევ ფრინველს, გალიიდან გამო-ტრენისთნავე, სწორი კამარა გაჟერას მთვარისკენ?..

მრავალ გრძნობათა მორევით უფერჭას გული ჩვენს მგოსანს და ჯერ კიდევ უერ გარევეულა მისი გზა.

მაგრამ ერთი უცხო ხმა უკვე ძლიერ გაისმა ჩვენში: პოეზიის მუსიკა პირველად ვიგემეთ, სული რიტმიულად დაირჩა, მწერლობაში პლასტიურობა გამეფდა... ბუნებრივი, მაგრამ ლრძის შელოდა ჩასწევდა ჩვენს ყურის.

წარმტაცი ფორმით გადმოდის მგოსნის განცდა, გასათუთდა და გაიწმინდა სმენა, გარტო ხმიერი ძახილი რომ ესმოდა აქვმდის.

პირველი, რაც იგრძნო თავისუფალმა მგოსანმა თვისი უშეშვეო ინდივიდუალობით, იყო ბუნების სადა ხმაური, ფერებად რომ იშელება.

და სწორედ ეს ფერები, მისი მრავალი გადაწევა, პრეცენტიალება მოხვდა ახილულ თვალებს.

არასოდეს ჩვენს პოეზიაში იქ ძლიერად არ იკვეთებოდა ეს ფერები, როგორც დღეს.

გარეგნული სილამაზე ბუნებისა პირველი ხმაური იყო, რომელიც გაიბნა თავისუფალ შემოქმედის წერიაზე; ახლად ამლერებული გული იქერს ამ მრავალ ფერებს და მისი სუხხვით განცყვაფრებული თავდაეიწყებით მღერის. ყოველ ფერს განსაკუთრებითი მელოდია უკავშირდება—ერთი მეორეს სცელის, მეორე მესამეში ისხმის, გადადის...

ეს პირველი სახეა ახალი შემოქმედებისა, თავისუფალ ანთების პრიმეტივი.

ამიტომ ამდღნ ზურმუხტი, იაგუნდი, ლალი, მარგალიტი არასოდეს არ ყოფილა ჩვენს მწერლობაში. თვალის მჭრელია და ლია ყველა ფერები. მათი თამშით იქმნის გარეგნული მშვენება დღეის პოეზიის. მათი თავაში ლამაზ ხმაურს იწვევს. კარგად სთქვა აბაშელმა: „ძეირფას ქვებს სარკეზე ვყრი“—ო. ამ რაწეუნიდან იქმნის ის წმინდა სიმღერა ფერებისა, დღეს რომ გვასმინეს მგოსნებმა. მაგრამ უცხო, ლაბაზის ვრებით ანთებული, სიყვარულიც ძალოვანი ხდება. არა მარტო ოცნება მთვარიან ლამეზი, არამედ შმაგი კოცნა, სარო ტანის თავდაკისწევებითი ხევენა, ლოკუსა ანთებულის გრძნობისა აღმოსავლეთის მწეავ მზის სხივებზე...

აქაც ფერების თამაში, ყვაილების ჩხევაში მძლავრად შლის ფრთას სიყვარულის ვაჟური ძალა. განსაკუთრებით, გრიშაშვილია ამ დარგში ძლიერი. მისი სიყვარული ცოტხალ ნერებისაგან დაწნულა და მოსუსტირად ჰეთერება.

ახალია ეს სიტყვები, ახალია ეგ ფერების სიმღერა, რომელმაც ჯერ მყუდროების ლოცვანი და სულის მჩაგალ სახეობა დაჩრდილა; მაგრამ გალიის კარი გაიღო, აღმოსავლეთის მზემ თვალების ბროლში აათმაშა ძლიერ სხივთა ანარეკელი და თამშობენ ფერები, უხვი სახეები რბიან.

გაისმის ფერთა სიმღერა სქესის ძარღვებზე თითგბის ჩამოყარელთა.

გალრმავლება, გაზარდება იგი სიმღერა და დაიუფლებს უძირო სულის მრავალ მხარეს, მაგრამ აღმოსავლეთის მზის ნაკვეთი, ლია ფერები მუდამ ძლიერი იქმნება შიგ.

გალიიდან გამოსულნი, ვაჟურის ანთებით, უინ-მორეულნი აფრინდებიან ყიუნით მაღლა:

„Per aspera ad astra...“

# პთი შაშრი

ვ ი ნ ა ა 4 6 0:

- გ. რობაქიძე — „ლეილა“
- გ. გრიშაშვილი — „სპარსეთის დედოფალი“
- გერონტი ქიქმაძე — „მზე“
- ა. ჭუმჩაძე — „ლარნაკი-გული“
- ხ. აბაშელი — „დაგვიანებული რითმა“
- ი. ელევთერიძე — „ურმული“
- ჭ. მაყაშვილი — „იცი ჩა?“
- გ. გაფრინდაშვილი — „ქალს ჩასმულ თვალით“
- სანდრო ყანჩელი — „Prelude“
- პ. იაშვილი — „სევდინი ზურმუხტი“
- ლეო ქაჩილი — „ქება გაზაფხულისა“
- გ. გვარავა — „ქართველი ქალი“
- ნ. ლორთქიფანიძე — „ჩული“
- შარიჯან — „გულის ნამცეცი“
- შ. დადიანი — „ნასხეისარი—გამებებურებული“
- შ. ბოჭორიშვილი — „ალერსის ბალი“
- აკაკი პაპავა — „ფერწების სიმღერა“
- კლა — მ. გიაშვილიხა.

თ-დ მ. ციციშვილის გამოცემა